№1029 2015 წლის 25 მაისი ქ. თბილისი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულების №33 დანართით გათვალისწინებული, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორსანტიის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში იუსტიციის საზოგადოებრივი ცენტრის შენობის ეზოს კეთილმოწყობის“ პროექტისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვები, ამავე განკარგულებით გამოყოფილი 76 000 (სამოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**